Center for Social Sciences

აგვისტო 2012

გენდერული თანასწორობის პროგრამა

გენდერული თანაწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციების მიერ

ელენე ჯაფარიძე
მკვლევარი

სარჩევი

შესავალი 3

საქართველო და გენდერული თანასწორობა 3

კვლევის მიზანი 6

მეთოდოლოგია 6

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში 8

რატომ არის მნიშვნელოვანი ქალების პოლიტიკური აქტიურობა? 15

რატომ პასიურობენ ქალები? 18

რესურსების გადანაწილება თუ აღიარების პრობლემა? 23

დასკვნა 27

ავტორის შესახებ 29

ლიტერატურა: 30

შესავალი

საქართველოში, პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ აქტიურად დაიწყეს საუბარი გენდერსა და გენდერულ თანასწორობაზე.[1]

გენდერი, წარმოადგენს სოციალურად კონსტრუირებულ კატეგორიას; რომელსაც კულტურა ქმნის მამაკაცისა და ქალის ცნების აღსანიშნად.[2] გენდერში იგულისხმება არა მხოლოდ ქალისთვის ან მამაკაცისთვის დამახასიათებელი თვისებები, არამედ ქცევის, აზროვნების და ქმედების მოდელები, რომელსაც საზოგადოება და კულტურა აწესებს ქალისა და მამაკაცისთვის. როგორც ვორტონი[3] აღნიშნავს, გენდერი ყველა კულტურაში სოციალური ცხოვრების ერთგვარ ცენტრალურ მაორგანიზებელ პრინციპად გვევლინება.

გენდერული ურთიერთობები განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად თანაბრად სარგებლობენ, ხელი მიუწვდებათ და აკონტროლებენ ბუნებრივ რესურსებს კაცები და ქალები.[4] ხშირად, გენდერული როლის მიხედვით დაწესებული ქცევის მოდელებისა და მოლოდინების გამო მრავალ უთანასწორობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებს ვაწყდებით. გენდერის ნიშნით ადამიანების დაყოფა და გამორჩევა, რომელსაც გენდერული უთანასწორობისკენ მივყავართ, თითქმის ყველა საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.[5] მსოფლიო ბანკის 2003 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ, გენდერული უთანასწორობის საკითხები, რომლებიც, მაგალითად, განათლების, ეკონომიკის, ჯანდაცვისა და პოლიტიკის სფეროში ქალებისა და კაცების არათანაბარი მონაწილეობის მიხედვით ვლინდება, ზემოქმედებს მსოფლიოს განვითარებაზე.[6]

საქართველო და გენდერული თანასწორობა

ისეთი ტრადიციული კულტურის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც, მაგალითად, საქართველოა, სადაც პატრიარქალური ნორმები დომინირებს, მიღებულია, რომ ქალი თავისი გენდერული როლიდან გამომდინარე, უნდა იყოს დაკავებული ოჯახის საქმეებით, ბავშვების აღზრდით და მას არ მოეთხოვება სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურობა. გარდა ამისა, ოჯახშიც კი ქალისგან მორჩილებასა და მამაკაცთან შედარებით პასიურ მდგომარეობაში ყოფნას ელიან. ქალის გათხოვებასთან დაკავშირებული ერთერთი გავრცელებული გამოთქმა, რომ "ქალი

---

[1] Directorate General of Human Rights (2004), "National machinery, action plans and gender mainstreaming in the Council of Europe member states since the 4th World Conference on Women (Beijing, 1995)" Available at: http://books.google.ge/books/about/National_Machinery_Action_Plans_and_Gend.html?id=LRaGtgAACAAJ&redir_esc=y. Accessed: July, 1.2012

[2] Butler, J. (1990),"*Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity*". New York: Rutledge, p.163–71

[3] Wharton, A.S. (2004), *"Gender inequality"*. In:G.Ritzer, ed. Handbook of Social problems. Newbury Park, CA: Sage, p.156-17

[4] Magnus, E. (2003), "Gender analysis in NRSP. DFID NRSP Programme Development Report PD123". Available at : http://94.126.106.9/r4d/PDF/Outputs/NatResSys/PD123Rep.pdf, Accessed: July 14.2012

[5] Kimmel, M.S. (2000),"*The gendered society reader*." Oxford: Oxford University Press, p.2

[6] World Bank (2003), "Gender Equality and the Millennium Development Goals." Available at: http://siteresources.worldbank.org/INTGENDER/Publications/20169280/gendermdg.pdf.Accessed: June 29.2012

პატრონს ჩაბარდა", სხვას არაფერს ნიშნავს, რომ ქალის პატრონო ჯერ საკუთარი ოჯახია და შემდეგ ქმრის ოჯახი ხდება.

2010 წელს ქალებზე ჩატარებული კვლევა „**ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში**,"[7] ცხადყოფს რომ, გამოკითხულ ქალთა 50.7% ფიქრობს, რომ კარგი ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება მის გადაწყვეტილებას; 45%-ს სწამს, რომ აუცილებელია მამაკაცმა ცოლს/პარტნიორს კარგად დაანახოს, თუ ვინ არის ოჯახის უფროსი; 2010 წლის კავკასიის ბარომეტრიც ადასტურებს, ოჯახში მამაკაცის უპირატესი უფლებების შესახებ საზოგადოების დამოკიდებულებას, რადგან გამოკითხულთა 63% მიიჩნევს, რომ ოჯახში ძირითადად მამაკაცი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს და 83% მიიჩნევს რომ ოჯახში შემომტანი აუცილებლად უნდა იყოს კაცი.[8]

ეს მონაცემები გვაჩვენებს ტენდენციას, რომ მამაკაცები საქართველოში მათი გენდერული როლიდან გამომდინარე უპირატეს მდგომარეობაში არიან. მათ არა მარტო აქვთ უფლება სოციალურად აქტიურები და გადაწყვეტილების მიმღებნი იყვნენ, არამედ მოეთხოვებათ კიდეც.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს მონაცემები მათ წისქვილზე ასხავს წყალს, ვინც ქალის უფლებების გაძლიერებას და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას კრიტიკულად აფასებს და ხშირად მიიჩნევს, რომ ქალები კმაყოფილები არიან სუბორდინირებული მდგომარეობით და მათ არ სურთ ცვლილებები.

შესაძლოა, მართლაც ასე არის და ბევრ ქალს არ სურს არანაირი ცვლილება, არ იღწვის საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ სფეროში ჩასაბმელად და არც ოჯახში სურს რომ მეტი ძალაუფლება ჰქონდეს, ანუ სტრანდარტულ გენდერულ სტერეოტიპებს იცავს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენ უყურადღებოდ გვრჩება ის ფაქტი, რომ ხშირად ქალები უბრალოდ ვერ აცნობიერებენ არსებულ შესაძლებლობებს ტრადიციულ და პატრიარქალურ ოჯახში აღზრდის გამო, ან იმის გამო, რომ არ ფლობენ რეალურ ინფორმაციას არსებულ შესაძლებლობებზე. სინამდვილეში, ქალებს ხშირად არ ეძლევათ საშუალება გააკეთონ რეალური და ინფორმირებული არჩევანი და ამგვარად თავი დააღწიონ უუფლებო მდგომარეობას.[9] არაერთი კვლევა კი იმას გვეუბნება, რომ უთანასწორობა ბევრ ეკონომიკურ და სოციალურ პროცესს აფერხებს, რომ გენდერულ თანასწორობასა და სიღარიბის დაძლევას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს[10] და რომ დემოკრატიის მშენებლობისთვის განსაკუთრებით პოლიტიკის სფეროში ქალთა აქტიურ ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.[11]

საქართველოში თვალსაჩინოა ქალთა პოლიტიკური პასიურობა, რაც აღმასრულებელ და საკანონმდებლო სივრცეში უმეტესად მამაკაცების წარმომადგენლობით გამოიხატება. 2011 წლის მონაცემებით საქართველოს

---

[7] Chitashvili, M.. Javakhishvili, N., Arutiunov, L., Tsuladze, L., Chachanidze, S. (2010), "National Research on Domestic Violence against Women in Georgia." Available at: http://www.genderbasedviolence.ge/conimages/annual-eng.pdf Accessed: July 5.2012

[8] Caucasus Barometer 2010. Available at: http://www.crrc.ge/oda/ Accessed: August, 10.2012

[9] Sumbadze, N. (2008),"*Gender and Society."* Available at : http://www.undp.org.ge/files/24_425_824113_gender&society2008.pdf, Accessed: July, 8.2012

[10] Derbyshire, H. (2002). "Gender Manual: A Practical Guide for Development Policy Makers and Practitioners, Department for International Development (DFID)". Available at: http://webarchive.nationalarchives.gov.uk/+/http:/www.dfid.gov.uk/Documents/publications/gendermanual.pdf. Accessed: July 3.2012.

[11] Beer,C. (2009), "Democracy and Gender Equality, Studies in Comparative International Development (SCID)", *Business and Economics*, Volume 44, Issue 3, p.212-214

პარლამენტში მოქმედი 138 წევრიდან მხოლოდ 9 არის ქალი[12], ქალთა დაბალი წარმომადგენლობა გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე და პოლიტიკის სფეროში არათანაბარი გადანაწილება, პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში გენდერული უთანასწორობის პრობლემის სიმწვავესთან. ამ პრობლემის მოგვარებაზე საქართველოში მუშაობა და მსჯელობა 1994 წელს დაიწყეს და შედეგად საქართველომ ქალთა ყველა სახის დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენციის (CEDAW) რატიფიკაცია მოახდინა .[13]

2006 წელს, სახელმწიფომ მიიღო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონი[14], 2010 წელს კი გენდერული თანასწორობის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ქალთა უსაფრთხოების, დასაქმების ბაზარზე თანასწორობის და ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობის უზრუნველყოფას.[15]

სახელმწიფოს გარდა გენდერული უთანასწორობის პრობლემის მოგვარებაზე განსაკუთრებით აქტიურად არასამთავრობო ქალთა ორგანიზაციები მუშაობენ, რომელთა ძირითადი მიზანი საქართველოში ქალთა გაძლიერება, გენდერული თანასწორობის განვითარება, გენდერული პოლიტიკის აქტუალიზება, ქალთა უფლებების დაცვა, ქალთა ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და მშვიდობის და დემოკრატიის მშენებლობაა.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი ორგანიზაციები, რომლებიც ქალთა საკითხებზე, ქალთა უფლებების დაცვაზე მუშაობენ დაახლოებით 12% შეადგენს საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა. [16]

ორგანიზაციები ბევრ პროექტებსა და კვლევებს ახორციელებენ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ხელშესაწყობად და ასევე, გენდერულ თანასწორობასთან და ქალთა უფლებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებითაც არიან დაკავებულნი.

საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საქართველო გენდერული თანასწორობის მიხედვით ძალიან არასახარბიელო პოზიციას იკავებს.

მაგალითად 2011 წლის გაეროს ადამიანური განვითარების ანგარიშის მიხედვით ჩვენი ქვეყანა ადამიანის განვითარების მიხედვით 187 ქვეყანას შორის 75 ადგილზეა, გენდერული უთანასწორობის ინდექსის მიხედვით 146 ქვეყანას შორის 73-ე ადგილზე და 2011 წლის გლობალური გენდერული სხვაობის ინდექსის

---

[12]Available at: http://www.parliament.ge/index.php?option=com_k2&view=itemlist&layout=category&task=category&id=2&Itemid=117&lang=ge. Accessed 12.08.2012

[13] Gaprindashvili, L., Samnidze, Kh. (2011), "The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW): Equality, Legislation and Reality". Available at: http://georgien.boell-net.de/downloads/CEDAW_final_publication.pdf. Accessed: August, 3.2012

[14] Sabedasvili, T. (2007),"Gender and Democratization: the Case of Georgia 1991-2006". Available at: http://stopvaw.org/uploads/gender_and_democratization.pdf. Accessed: July,23.2012

[15] Duban, E. (2010), "Gender Assessment USAID/GEORGIA". Available at: http://transition.usaid.gov/our_work/crosscutting_programs/wid/pubs/Georgia_Gender_Assessment_Jun-2010_508.pdf. Accessed: June 17.2012

[16] Rusetsky,H., Delemenchuk, A., Metreveli, T. (2007), "Assessment of needs of women's movement in Georgia." Available at: http://www.ifc.org/ifcext/gcgp.nsf/AttachmentsByTitle/1Assessment2007/$FILE/1Assessment2007.pdf. Accessed: July, 26.2012

მიხედვით 86-ე ადგილზე 135 ქვეყანას შორის[17]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ერთი მხრივ, მთავრობა და მეორე მხრივ, ქალთა ორგანიზაციები ძალისხმევას არ იშურებენ გენდერული თანასწორობის განვითარების ხელშესაწყობად, საერთაშორისო ინდექსების მიხედვით ქვეყნის არასახარბიელო პოზიცია ბუნებრივია აღძრავს კითხვას თუ რას ფიქრობენ სოციალური აქტორები ქალთა ორგანიზაციების სახით გენდერული პოლიტიკის შესახებ საქართველოში.

კვლევის მიზანი

აღნიშნული კვლევის მიზანია დავადგინოთ, თუ როგორ აფასებენ გენდერული თანასწორობის პოლიტიკას საქართველოში ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძოდ: რა ტიპის პრობლემებს და სირთულეებს ხედავენ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაში, რომელ სფეროში გამოყოფენ გენდერული ნიშნით დისკრმინაციის ყველაზე მეტ

შემთხვევებს, ბოლო ათი წლის განმავლობაში წინ გადადგმულ რომელ ნაბიჯებს მიიჩნევენ გენდერული თანასწორობის წარმატებისთვის მნიშვნელოვნად, როგორ აფასებენ საკანონმდებლო სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებს და სახელმწიფო ინიციატივებს. რა შესაძლებლობებსა და რა რისკ-ფაქტორებს ხედავენ საქართველოში გენდერული თანასწორობის განვითარების მიმართულებით.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ კი ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები. სამიზნე ჯგუფის შერჩევა მოხდა „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს მიერ მოწოდებული თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების სიის საფუძველზე. ‘ქალთა ფონდი საქართველოში’ 2005 წელს დაარსდა და პირველ ადგილობრივ გრანტისგამცემ ორგანიზაციას წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს ქალთა ჯგუფების საქმიანობასა და ინიციატივებს საქართველოში. ფონდის საქმიანობა მიმართულია ქალთა მრავალგვარი პრობლემების მოგვარებისკენ და იგი ეხმარება სხვადასხვა ქალთა ჯგუფებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს განახორციელონ თავიანთი მიზნები. მივიჩნიეთ,რომ ამ კვლევისთვის რესპონდენტთა მოძიება ამ ორგანიზაციის დახმარებით დაგვეწყო,რადგან ეს ორგანიზაცია იღებს ყველაზე მეტ საგრანტო განაცხადს ქალებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფების,ორგანიზაციების და ინდივიდუალირი პირების მხრიდან.

[17] Bendeliani, N. (2012), ” Beyond the Human Development Index: Assessing the Human Development in Georgia through International Indices and Rankings”. Available at: http://css.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=23&info_id=433. Accessed: July 24.2012

მივმართეთ ქალთა ფონდს და მათ მიერ მოწოდებული სიიდან, შევარჩიეთ ჩვენი კვლევისთვის შესაფერისი სამიზნე ჯგუფი.

სიიდან შეირჩა თბილისში ქალთა პრობლემებზე მომუშავე მრავალი ორგანიზაციიდან 8 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც გენდერული თანასწორობის განვითარების მიმართულებით, საშუალოდ, 6-7 წელია ახორციელებს საქმიანობას, ორი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ორი წელია რაც მოღვაწეობს და თავისი სამოქმედო პრიორიტეტებით საქართველოში გენდერული თანასწორობის გაძლიერებას ცდილობს, თავად ქალთა ფონდის ორი წარმომადგენელი, ასევე შეირჩა საქართველოში არსებული მეორე არანაკლებ აქტიური ფონდი „ტასო“. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ასევე აზიის განვითარების ბანკის წარმოადგენელმა, რომელიც ამ ბანკში საქართველოში გენდერული მეინსტრიმინგის ხელისშეწყობაზე მუშაობს.

კვლევა ჩატარდა შემდეგ ორგანიზაციებში:

1. ფონდი - „ქალთა ფონდი საქართველოში“ www.womensfundgeorgia.ge
2. ფონდი - „ტასო“ www.taso.ge
3. ფონდი - „აზიის განვითარების ბანკი“ www.adb.org
4. არასამთავრობო ორგანიზაცია - „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ www.wicge.org
5. არასამთავრობო ორგანიზაცია - „იდენტობა“ www.identoba.ge
6. არასამთავრობო ორგანიზაცია -ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“ www.saxli.gol.ge
7. არასამთავრობო ორგანიზაცია - „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ http://women.ge/
8. არასამთავრობო ორგანიზაცია -„ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი“ www.avng.ge
9. არასამთავრობო ორგანიზაცია - „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ www.hrp.ge
10. არასამთავრობო ორგანიზაცია - ქალთა დასაქმების ასოციაცია „ამაგდარი“ (არ გააჩნია ვებ გვერდი)
11. არასამთავრობო ორგანიზაცია -„კავკასიის ფემინისტური ორგანიზაცია“ www.wprc.org.ge
12. არასამთავრობო ორგანიზაცია - „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი“ ცენტრი“ http://csdc.gol.ge/ http://www.facebook.com/csdc5
13. არასამთავრობო ორგანიზაცია - „Helping Hand” www.ngo.org.ge

ჩამოთვლილი ორგანიზაციების მიზნებია:

- გენდერული პოლიტიკის აქტუალიზება
- ქალთა უფლებების დაცვა
- ქალთა ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ
- პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში
- მშვიდობის და დემოკრატიის მშენებლობაში
- თანაბარი უფლებების შექმნა მოქალაქეებისთვის
- საზოგადოების მგრძნობელობის ამაღლება ქალთა საკითხებისადმი
- ქალთა ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერა

- გენდერულად სენსიტიური გარემოს შექმნა

ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან კვლევის რესპონდენტებად შეირჩნენ ორგანიზაციის დირექტორები, უშუალოდ გენდერული თანასწორობის პროექტზე მომუშავე პროექტის კოორდინატორები და ფონდების შემთხვევაში გრანტის მენეჯერები. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა სულ 18 სუბიექტთან მათ სამუშაო ადგილას, წინასწარი შეთანხმებისა და სრული კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიის საფუძველზე. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები, ანალიზში მოიხსენიებიან როგორც ექსპერტები, მათი მუშაობის, ცოდნისა და პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ-გზამკვლევი საქართველოში არსებული გენდერული პოლიტიკის სიძლიერისა და ხარვეზების შესახებ მოიცავდა კითხვებს რესპონდენტების დამოკიდებულების და შეხედულების დასადგენად, თუ რა გამოსწორდა საქართველოში ბოლო წლების, (პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდგომ) განმავლობაში გენდერული თანასწორობის ჭრილში, რა უნდა გამოსწორდეს და ზოგადად, როგორ აფასებენ არსებულ მდგომარეობას.

თითეული ინტერვიუ დაახლოებით 50-70 წუთი გრძელდებოდა და იწერებოდა აუდიო დიქტოფონზე. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა ჩანაწერების დეტალური გაშიფვრისა და ტრანსკრიპტების მომზადების საფუძველზე.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში

კვლევაში მონაწილე თვრამეტივე ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გენდერული პოლიტიკის განვითარების საბოლოო მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების ყველა წევრს, განურჩევლად სქესისა, რასისა, რწმენისა და ეთნიკური წარმომავლობისა ჰქონდეს ქვეყანაში არსებული რესურსებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა. რესპონდენტები განმარტავენ, რომ გენდერული თანასწორობის მაღალი დონე ქვეყნაში დემოკრატიის მაღალი დონის მანიშნებელია. მათ მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მაქსიმალური განვითარება იმ პოლიტიკური მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს დასახული.

„ზოგადად გენდერული თანასწორობის მიღწევა, ცხოვრების ყველა სფეროში ეს არის ქვეყნის დემოკრატიულობის მაჩვენებელი და მნიშვნელოვნად გაზრდის იმ მიზნებისკენ სწრაფვას, რაც საქართველოს აქვს.“(რ.12)

„ის საზოგადოება, სადაც გენდერული თანასწორობა მაქსიმალურადაა განვითარებული ბევრად უფრო ჯანსაღია და უფრო მეტ ბედნიერ ადამიანს მოიცავს“. (რ.3)

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკა ნამდვილად განვითარდა საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდთან შედარებით. უახლოეს წარსულში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას, ოჯახში ძალადობას არანაირი აღიარება არ ჰქონდა არც საკანონმდებლო და არც საზოგადო სივრცეში. ამჟამად, ეს

სიტუაცია გამოსწორებულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ 2006 წელს სახელმწიფომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონი მიიღო,[18] 2010 წელს გენდერული თანასწორობის კანონი.[19] საარჩევნო კვოტებთან დაკავშირებით კანონში ცვლილებები შევიდა, რომელიც პოლიტიკურ გაერთიანებებს ეხება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკოს ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობას გულისხმობს. რესპონდენტები გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ერთ–ერთ წარმატებულ ნაბიჯად იმ ფაქტსაც გამოყოფენ, რომ პარლამენტის თავჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო გახდა მუდმივმოქმედი, ჩართულია გენდერული პოლიტიკის გატარების პროცესში და მონაწილეობს სამოქმედო გეგმების დასახვაში.

,,ასეთი ვითარება არასდროს არ ყოფილა ახლა რომ არის ხელშეწყობა. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. დონორები ყოველთვის იყვნენ ამ საკითხების მხარდამჭერები მაგრამ არ იყო ნება". (რ.17)

„ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება უკეთესობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით როგორც პოლიტის გატარებაში, ასევე საზოგადოების მხრიდან რეაქციას. თუ ადრე ოჯახურ ძალადობის თემას ცინიკურად ეკიდებოდნენ, დღეს ეს დამოკიდებულება შეცვლილია,- შეიძლება ითქვას რომ საზოგადოების ცნობიერების დონე ამაღლებულია."(რ.2)

„პროგრესი არის წინა წლებთან შედარებით, ამას კვლევებიც ადასტურებს. გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც თვლის, რომ პოლიტიკაში თანაბრად უნდა იყვნენ ქალებიც და მამაკაცებიც. გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც თვლის, რომ ქალს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავალი. იმ ქალების რიცხვი გაიზარდა ვინც აცნობიერებს და აღიარებს, რომ დისკრიმინირებულია, კონკრეტულ შემთხვევებს ვგულისხმობ, ვთქვათ ძალადობის მსხვერპლია და აღიარებს და აპროტესტებს... (რ6)

თუმცა, თითოეული ექსპერტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილებებისა და წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარება დიდ სირთულეს წარმოადგენს. შეკითხვაზე, თუ რატომ წარმოადგენს საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარება სირთულეს, ექსპერტთა მიერ გაცემული პასუხები შეჯამებული სახით ასე გამოიყურება:

უპირველესად, იმიტომ, რომ არსებული კანონები საკმარისად დახვეწილი და ქართულ რეალობას მორგებული არ არის და რაც მთავარია, კანონთა აღსრულება ხშირ შემთხვევაში არ ხდება. საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად გამოკითხულ ექსპერტთა უმეტესობას სტატისტიკური მონაცემები მოყავს მაგალითად, რომლებიც ცხადყოფს, რომ საქართველო ეუთოს ქვეყნებს შორის გენდერული თანასწორობის მიმართულებით 135 ქვეყნიდან 86 -ე ადგილს იკავებს.

---

[18] Sabedasvili, T. (2007), "Gender and Democratization: the Case of Georgia 1991-2006". Available at: http://stopvaw.org/uploads/gender_and_democratization.pdf. Accessed: July, 23.2012

[19] Duban, E. (2010), "Gender Assessment USAID/GEORGIA". Available at: http://transition.usaid.gov/our_work/crosscutting_programs/wid/pubs/Georgia_Gender_Assessment_Jun-2010_508.pdf. Accessed: June 17.2012

„პოლიტიკის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა კატასტროფულია, ეს ეყრდნობა იმ სტატისტიკაზე და მონაცემებზე რაც გვაქვს. ყველაზე ბოლო ადგილი გვაქვს ეუთოს ქვეყნებს შორის. სწორედ, ამიტომ იყო კანონმდებლობაში ცვლილება. თუ რა პერსპექტივაა, ეს რაღაც დოზით პოლიტიკურ პარტიებზეა დამოკიდებული , წამოვლენ თუ არ წამოვლენ თანამშრომლობაზე, გააკეთებენ თუ არა ცვლილებას, რომ ქალები სიებში იმ პროცენტული შესაბამისობით შეიყვანონ , რომელიც ქალების მთავრობაში მოსასვლელად არის საჭირო მოვიდნენ მთავრობაში."(რ1)

„საქართველოში გენდერული პოლიტიკა არის ნულს ქვემოთ. გვაქვს ფურცელზე უამრავი კანონი, CEDAW კონვენცია მივიღეთ, მაგრამ რეალურად არანაირი ქმედებები არ არის. ჩვენ ახლა გვაქვს პროექტი ქალთა უფლებებზე, ვაკეთებთ ფლეშმობებს, სადაც ნათლად ჩანს საზოგადოების და პოლიციის დამოკიდებულება. პირადად შევესწარი ძალადობის ფაქტს და დავიცავით გოგონა, გამოვიძახეთ პატრული, რომელიც ძალიან ცინიკურად იყო განწყობილი ამ ყველაფრის მიმართ, რამაც ძალიან გამაღიზიანა." (რ13)

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გენდერულ პოლიტიკას საქართველოში უპირველესად სახელმწიფო, შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, შემდეგ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა ახორციელებდნენ. და ამ პოლიტიკის განხორციელება ჭეშმარიტი სურვილის საფუძველზე უნდა ხდებოდეს. თითეული ჩამოვლილი სტრუქტურა უნდა აცნობიერებდეს გენდერული თანასწორობის რეალურ მნიშვნელობას და შესაბამისად, ცდილობდეს უთანასწორობასთან გამკლავებას. რესპონდენტთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული საერთაშორისო დონორებზე, რომლეთა პრიორიტეტი და სამოქმედო გეგმაში შესული პუნქტია საქართველოში ამ სფეროს განვითარება. ექსპერტებმა ყურადღება იმ საკითხზეც გაამახვილეს, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს ნება, რომ სრულყოფილი გენდერული პოლიტიკა გაატაროს.

„თუ პოლიტიკურ ნებაზე ვსაუბრობთ, მე ვიტყოდი, რომ პოლიტიკური ნება ჩვენთან არ არსებობს. ის რომ ამას ხელს არავინ არ უშლის არ ნიშნავს იმას, რომ ხელს უწყობს. ის რომ კანონი მიიღეს და ამის განხორციელებაზე სახელმწიფო ბიუჯეტს არ გამოყოფს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მისთვის პრიორიტეტი არა რის. თუმცა ხელს არ შეუშლის და მოხარული იქნება ვთქვათ SIDA-ამ თუ დააფინანსა მისი განხორციელება" (რ6)

„გენდერულ პოლიტიკას დღს საქართველოში ქმნიან ის ნორმატიული მოთხოვნები რაც ახლავს საერთაშორისო საზოგადოებას, იმიტომ რომ ქვეყნის შიგნით ძალიან ცოტა ძალაა იმისთვის, რომ ეს პოლიტიკა განხორციელდეს. პოლიტიკა ხორციელდება თუ დავიწყებთ საწყის წერტილს და თუ ავიღებთ 1994–1997 წელს როდესაც რატიფიცირება მოხდა სიდოუსი." (რ2)

ქართული სახელმწიფოს მხრიდან გენდერული პოლიტიკით დაინტერესება და ამ პოლიტიკის გატარება ქვეყანაში საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნითაა განპირობებული,- აღნიშნავს რამდენიმე ექსპერტი. მათი აზრით, რომ არა ზეწოლა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, შესაძლოა საქართველოში გენდერულ პოლიტიკაზე საუბარი კიდევ დიდ ხანს არ ყოფილიყო.

„გენდერულ პოლიტიკას დღეს საქართველოში ქმნიან ის ნორმატიული მოთხოვნები, რაც ახლავს საერთაშორისო საზოგადოებას იმიტომ, რომ ქვეყნის შიგნით ძალიან ცოტა ძალაა იმისთვის რომ გენდერული პოლიტიკა განხორციელდეს."(რ2)

ის რომ საერთაშორისო ორგანიზაციები მართლაც დაინტერესებულნი არიან საქართველოში გენდერული საკითხების მოგვარებაში ნათლად ჩანს OECD-ის მონაცემშიც[20], სადაც კარგადაა ასახული 2006 წლიდან 2010 წლის ჩათვლით საერთაშორისო საზოგადოება რა რაოდენობის თანხებს რიცხავს საქართველოში გენდენდერული თანასწორობის საკითხების მიმართულებით.

მოცემული ცხრილი 1 აჩვენებს, რომ 2006-2007 წლებში საერთაშორისო დონორების მიერ გადმორიცხული თანხა ქალთა ორგანიზაციების პროექტების დასაფინანსებლად, 56600 აშშ დოლარსა და 51995 აშშ დოლარს შორის მერყეობს. 2008 წლისთვის დაფინანსება მკვეთრად იზრდება და 2009 წელს უკვე სამ მილიონ დოლარამდეა ასული. 2010 წლისთვის გენდერული თანასწორობის მიმართულებით გადმორიცხული თანხების ოდენობა კლებულობს და ნახევარი მილიონი დოლარის ოდენობას შეადგენს.

ცხრილი 1 (საერთაშორისო დონორების მიერ ქალთა ორგანიზაციებისთვის გადმორიცხული თანხები 2006-2010 წლებში. ცხრილში თანხა მითითებულია აშშ დოლარში.)

2006	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
0.056609	**0.051995**	**0.963423**	**2.944804**	**0.544944**
0.056609	**0.051995**	**0.963423**	**2.944804**	**0.544944**

ქალთა ორგანიზაციების დაფინანსებაში გამოიყოფა ლიდერი ქვეყნები: გერმანია და შვედეთი. 2010 წლის გადმორიცხული დაფინანსების 90 პროცენტზე მეტი გერმანიის მიერ არის დაფინანსებული და შვედეთის მიერ გადმორიცხული თანხა საქართველოში გენდერული თანასწორობის განვითარების ხელშესაწყობად 2009 წელს სამ მილიონამდე დოლარს შეადგენს.

ცხრილი 2 (გერმანიისა და შვედეთის მიერ გადმორიცხული თანხა გენდერული თანასწორობის განვითარების მიმართულებით. ცხრილში თანხა მითითებულია აშშ დოლარში.)

გერმანია	**შვედეთი**

[20] OECD-ის მონაცემები იხილეთ შემდეგ ბმულზე: http://www.stats.oecd.org/ ნახვის თარიღი: ივლისი, 10.2012

2010 წელი	*2009 წელი*
0.483444	**2.882524**

OECD-ის მონაცემებით 2008-2009 წლებში გენდერის მიმართულებით გადმორიცხული თანხების ოდენობა სხვა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალია.ამ წლებში ყველაზე დიდი რაოდენობის თანხების გადმორიცხვა შესაძლოა იმ ფაქტს უკავშირდებოდეს,რომ 2008-2009 წლებში საქართველომ საერთაშორისო დონორების მიერ,ზოგადად სხვადასხვა მიმართულებით გაზრდილი ფინანსური დახმარება მიიღო და აღნიშნული ფინანსური ნაკადიდან გენდერული თანასწორობის მიმართულებით პროექტების განსახორციელებლად ასევე უფრო დიდი თანხა გადმოირიცხა. (იხილეთ ცხრილი 3)

ცხრილი 3 გამოსახავს საქართველოსა და საერთაშორისო დონორებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებს, რომლებიც 2006- დან 2010 წლის ჩათვლით უნდა მიეღო ქვეყანას. 2008-2009 წლებში დონორებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები მკვეთრად აღემატება 2006-2007 წლებში გათვალისწინებულ გადარიცხვებს. 2010 წლისთვის თანხების გადმოსარიცხი რაოდენობა კვლავ კლებულობს.

ცხრილი 3 (საქართველოსა და საერთაშორისო დონორებს შორის 2006-2010 წლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხები, რომლებიც უნდა მიეღო ქვეყანას. ცხრილში თანხა მითითებულია აშშ დოლარში.)[21]

2006	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
723.98419	**371.7368**	**1242.4513**	**1192.4769**	**892.88623**
515.92599	**209.27506**	**783.44164**	**651.04163**	**620.47803**

ფაქტი ერთია, ფინანსებიც გამოიყოფა და ქვეყანაში სხვადასხვა ორგანიზაციებიც ცდილობენ ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებას. საინტერესოა როგორ, და რა ხერხებით ხორციელდება გენდერული თანასწორობის განვითარების ხელშეწყობა?

დასმულ შეკითხვაზე ექსპერტთა მიერ მოწოდებული პასუხი, ქვეყანაში საკანონმდებლო ცვლილებების გატარებაა უკავშირდება. თუმცა თავადვე აღნიშნავენ, რომ კანონები საკმარისად დახვეწილი და ქართულ რეალობას მორგებული არაა. ლოგიკურია დაგვაინტერესოს, თუ კი კანონი საკმარისად დახვეწილი არ არის და

[21] აღნიშნული მონაცემები იხილეთ : http://www.stats.oecd.org/ ნახვის თარიღი: ივლისი, 10. 2012

კანონის აღსრულება ხშირ შემთხვევაში არ ხდება, რატომ ვსაუბრობთ რომ წინ გადადგმული არაერთი ნაბიჯი გვაქვს თუნდაც საკანონმდებლო სივრცეში? ამ შეკითხვაზე საპასუხოდ ექსპერტები გენდერული პოლიტიკის განხორციელებისთვის სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო სურვილსა და მოტივაციას ასახელებენ. რამოდენიმე ექსპერტი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება იძულებულია დაემორჩილოს იმ ნორმატიულ მოთხოვნებს, რომლებსაც საერთაშორისო საზოგადოება და დონორი ორგანიზაციები ადგენენ; ამის გამო სახელმწიფო ხელოვნურად ახორციელებს ამ ტიპის პოლიტიკას, ქვეყანაში კვლავაც არ არსებობს საკმარისი სახელმწიფოებრივი ნება და მონდომება გენდერული პოლიტიკის სრულფასოვნად განსახორციელებლად.

„... ეს ყველაფერი რომ არ იყოს შემოსული გაეროდან თავს მოხვეული, პოლიტიკური ნება ისე არ იქნებოდა. ასევე, კონვენციის ჩრდილოვანი ანგარიშები ზუსტად ეს არის ამის ამსახველია: საქართველოდან მიდის რამდენიმე გვერდიანი ფურცელი, როდესაც ბრიტანეთიდან მიდის უზარმაზარი ბაინდერი, -აქ ეს ყველაფერი არის პლიუსების ჩაწერის გამო."(რ 18)

სახელმწიფოს მხრიდან გენდერული პოლიტიკის ხელოვნურად განხორციელებაში ექსპერტები გულისხმობენ სახელმწიფოს მხრიდან გენდერული თანასწორობის მიმართულებით ღონისძიებების ჩასატარებლად არასაკმარისი თანხების გამოყოფას; მათ მიაჩნიათ, რომ ამ ეტაპზე საქართველოში გენდერული პოლიტიკის განსახორციელებლად ბევრად მეტი ფიზიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსია საჭირო, ხოლო სახელმწიფო საკითხზე ფოკუსირებას არ ახდენს და განსაკუთრებით მწირ თანხებს გამოყოფს.ამ თანხებსაც იმიტომ გამოყოფს, რომ უნდა დაემორჩილოს საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნას.

„პოლიტიკური ნება ჩვენთან არ არსებობს. ის რომ ამას ხელს არავინ არ უშლის არ ნიშნავს იმას, რომ ხელს უწყობს. ის რომ კანონი მიიღეს და ამის განხოციელებაზე სახელმწიფო ბიუჯეტს არ გამოყოფს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მისთვის პრიორიტეტი არა რის.თუმცა ხელს არ შეუშლის და მოხარული იქნბა ვთქვათ SIDA-მ თუ დააფინანსა მისი განხორციელება."(რ6)

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი არასაკმარისი დაფინანსების გარდა, ექსპერტები დონორების მიერ არასაკმარისი თანხების გამოყოფასაც შეეხენ. მათ მიაჩნიათ რომ დღეს არსებული დაფინანსება გენდერული თანასწორობის მიმართულების წარმატებით განსავითარებლად, საერთოდ არ არის საკმარისი და ბევრად მეტი ფინანსებია საჭირო პროექტებისა და სამომავლო საქმიანობის განსახორციელებლად; თუმცა არ დაუკონკრეტებიათ რა ტიპის პროექტებს და რა ტიპის საქმიანობას გულისხმობდნენ.

„დაფინანსება ძალიან მწირია, იმ კოლოსალური შრომისთვის რასაც ორგანიზაციები წევენ, გარდა თანხობრივი სიმწირისა ცუდია ის რომ არის ექვსთვიანი, ერთ წლიანი პროექტები, რომელიც აბსოლუტურ შოკში აგდებს ორგანიზაციას და რომლის გამოც ზოგჯერ ჩვენთვითონ ვართ ძალადობის მსხვერპლნი, იმიტომ რომ მუდმივად დედლაინი, ანგარიში, პროექტი". (რ9)

„დაფინასება ძალინ რთული მოსაპოვებელია და ის რომ ბევრი პროექტი ვერ განხორციელდა და არ განხორციელდება, შეზღუდულია დონორებისგან დაფინანსება." (რ4)

„...საერთოდ არ არის საკმარისი. არც ამინდს არ ქმნის იმიტომ, რომ რეალობა სხვაგვარია. იმას არ ვამბობ ვიღაცა რამდენად კეთილსინდისიერად განკარგავს ამ თანხას თუ არა. ეს არის ღარიბი ქვეყნების უბედურება, როდესაც მეტ-ნაკლებად სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში აფინასებ ესეთ სოციალურ ცვლილებებს, იქ სხვა სურათია და სადაც ესეთი კრიზისია და სიღარიბის ასეთი მაღალი დონე არის, იქ მეტი ჭირდება, რა თქმა უნდა.“(რ6)

მხოლოდ ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ გენდერულ პოლიტიკისა და თანასწორობასთან დაკავშირებულ პროექტებზე საკმარისი დაფინანსება გამოიყოფა საქართველოში, თუმცა ეს თანხები არამიზნობრივად იხარჯება.

„საკმარისი ფულია რომ იყოს მიზნობრივად დახარჯული! ... იხარჯება უამრავი ფული და არ უნდა იხარჯებოდეს ასე . ეს არის ჩვენი ფული ამაზე უნდა ჰქონდეს კონტროლი ქალთა ორგანიზაციებს, ექსპერტებს.“(რ2)

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში მხოლოდ რამდენიმე „ტრადიციული“ მიმართულებით განხორციელებული პროექტების დაფინანსება იგულისხმება, როგორიც არის ოჯახში ძალადობა, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა და მიმდინარე კვლევები ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე. რადგან გენდერის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე საუბრისას ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული პროექტებიდან ოჯახში ძალადობის საკითხის, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ქალთა პოლიტიკურ აქტიურობას დღეს განსაკუთრებით დიდი ყურადღება და რესურსი ეთმობა. ხოლო სხვა აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა დასაქმება, ეკონომიკა და სხვ. საზოგადოების და ორგანიზაციების ყურადღების მიღმა რჩება.

,,ყველაზე შესწავლილი არის ძალადობის საკითხი, იმიტომ რომ საზოგადოებისთვის ეს არის ძალიან ადვილად მოსანელებელი საკითხი, პატრიარქალურისთვისაც კი, რაც არ უნდა იყოს მოინელებს''. (რ18)

,,ოჯახში ძალადობას, ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, ასევე რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, რაზეც კეთდება კვლევები. ნაკლებადაა შესწავლილი დასაქმების სფერო, ქალების მონაწილეობა ეკონომიკურ სფეროში, სოფლის მეურნეობა და ა.შ. ... ხშირად NGO–ს არ აქვს იმის საშუალება, რომ დაიქირავოს მკვლევარი, რომელიც კარგად დაგეგემავს ამ პროექტს, აქედან გამომდინარე ჩნდება არასანდოობა მის მიმართ. ასევე სტატისტიკის სამსახური, ისინიც გამუდმებით უჩივიან იმის ნაკლებობას, რომ არ აქვთ რესურსები, რომ ცალკე გენდერულ საკითხებზე ჩაატარონ კვლევა“. (რ10)

გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემაზე საუბრისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოჯახში ძალადობისა და ქალთა პოლიტიკური პასიურობის გარდა მრავალ სხვა სფეროში ვაწყდებით დისკრიმინაციას გენდერის ნიშით, რის საფუძველზეც ქალები ძალიან წაგებულ პოზიციებში არიან. რა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ რამდენიმე მწვავე საკითხი მიაჩნიათ ქართველ ექსპერტებს შესწავლილი და ყურადღების ცენტრში და დანარჩენი არანაკლებ მწვავე, ყურადღების მიღმა? ამ შეკითხვაზე რესპონდენტთა მხოლოდ ნაწილმა დააკონკრეტა თავისი პასუხი, მათი აზრით საქართველოში წარმოდგენილი დონორები ძალიან ცოტაა, და მუდმივად ერთსა და იმავე არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებენ რომლებსაც კარგად იცნობენ და ენდობიან.

შესაძლოა ეს იყოს ერთერთი მიზეზიც, რომ მხოლოდ გარკვეულ მიმართულებებზე ხდება ფოკუსირება. თუ კი ერთი მიმართულებით მომუშავე ერთი და იგივე ორგანიზაციები ერთსა და იმავე დონორების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, შესაძლოა თემატიკის სიმცირე მივიღოთ და მხოლოდ ძალიან შეზღუდული მიმართულებით განხორციელებული პროექტები, რაზეც საუბრობენ თავად ექსპერტები.

„დონორები ამ სფეროში ძალიან ცოტაა. ამბობენ რომ ქალთა საკითხებს ფართოდ აფინანსებენ მაგრემ ეს ესე არ არის. დაფინანსების წყაროები არის ძალიან მცირე და ყველა ქალთა ორგანიზაციას ერთი და იგივე დონორი ჰყავს. ესენია: Global found for women, Mama cash, Filia, Urgent action found ანუ სწრაფი რეაგირების საგრანტო“ *(რ.18)*

„დონორების ნაკლებობაა, სამინისტროების მხრიდან ნაკლებად არის ყურადღება თუ ეს არ ეხება განათლებას, როდესაც იგებენ რომ გენდერს ეხება უკვე ნაკლები დაინტერესებაა.“ (რ13)

ჯერჯერობით ჩვენი მსჯელობა გენდერული თანასწორობის ირგვლივ ფინანსური პრობლებების გარშემო მიმდინარეობს. თუ შევაჯამებთ, ექსპერტთა აზრით უპირველესი პრობლემა, საქართველოში გენდერული თანასწორობის განვითარებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს არასათანადო ნებას და როგორც სახელმწიფოსგან ასევე დონორების მხრიდან გამოყოფილ შეზღუდულ ფინანსურ რესურსს უკავშირდება. რა თქმა უნდა თუ კი ფინასური რესურსი არ იქნება, შეუძლებელია ფიზიკური რესურსის ქონაც და შესაბამისად ამ მიმართულებით მრავალი პროექტი და კვლევაც ვერ განხორციელდება.მაგრამ, შესაძლოა მხოლოდ ფინანსური საკითხების მოგვარება არ აღმოჩნდეს საკმარისი, იმისთვის, რომ გენდერული უთანასწორობა გამოსწორდეს საქართველოში?! ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გენდერული თანასწორობისა არის ქალების სიმრავლე პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.

ის რომ ქალთა სიმრავლე პოლიტიკაში მეტად მნიშვნელოვანია, გამოკითხული ყველა ექსპერტი ადასტურებს.ფინანსური საკითხების გარდა ისინი სერიოზულ პრობლემას ზუსტად ქალთა პოლიტიკურ პასიურობაში ხედავენ.

„მე მაინც ვფიქრობ, რომ ყველაზე ჩაგრული ქალი მაინც პოლიტიკაშია. პარლამენტში ქალების რაოდენობა ძალიან ცოტაა ახლა ზრდიან, მაგრამ ზოგადად დამოკიდებულება მაინც ცუდია.“(რ9)

„ძალიან კარგი იქნება უფრო მეტი ქალი თუ იქნება ჩართული. ჩვენთან პოლიტიკაში ჩართული ადამიანების უმრავლესობა არის მამაკაცი. ქალებს უჭირავთ ცალმხრივი პოზიცია.“ (რ3)

რატომ არის მნიშვნელოვანი ქალების პოლიტიკური აქტიურობა?

ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესების წარმატებით განხორციელებას შეუწყობს ხელს.

„ქალების მონაწილეობის მიღება გადაწყვეტილების მიღების პროცესში არა ერთი კვლევით არის დადასტურებული, რომ გათანაბრება მდედრობით და მამრობითი სქესის წარმომადგენლობით ორგანოებში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გადაწყვეტილების ხარისხს და იმ პროცესებს, რომელიც

ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს ყველა სფეროზე ახდენს თავისებურ გავლენას იმიტომ, რომ ქალმა უკეთ იცის ქალის საჭიროება, ბავშვის საჭიროება, ოჯახის საკითხებში უფრო მეტად არის ჩართული და შესაბამისად, უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.“ (რ12)

„ძალიან კარგი იქნებოდა პარლამენტში უფრო მეტი ქალი რომ იყოს, რაღაც კუთხით მამაკაცები უფრო ჭკვიანები არიან , რაღაც კუთხით ქალები..“(რ13)

,,საფრანგეთში მას შემდეგ, რაც ადვოკატურაში მოვიდნენ ქალები, ეს იყო 70–იანი წლების ბოლოს, საზოგადოებამ იგრძნო განსხვავებული ატმოსფერო, რომელიც მართლმსაჯულებაში შეიქმნა იმის გამო, რომ ქალებმა წამოჭრეს პრობლემის გადაწყვეტის სხვაგვარი ხედვა და მიდგომა, რაც აღმოჩნდა გაცილებით სასურველი საზოგადოებისთვის''. (რ11)

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, პოლიტიკაში ქალების სიმრავლე გენდერული თანასწორობის ***ძლიერ*** მხარეს წარმოადგენს.

„შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ქვეყნები, სადაც გენდერული თანასწორობა არის და სადაც შიდა პროდუქტი, ეკონომიკური პარამეტრები, ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, პოლიტიკური გადაწყვეტილებები ბევრად უფრო დაბალანსებულია და ყველა ინტერესს ითვალიწინებს, სოციალური პოლიტიკა გაუმჯობესდება. შიდა პროდუქტი ერთ ნახევარჯერ გაიზრდება იმითი, რომ თანასწორი და სრულფასოვანი ჩართვა იქნება შრომით პროცესში, იმ სიმაღლეებზე თუ ვილაპარაკებთ რასაც ქვია ქვეყნის განვითარება. საქართველოს 3 მილიონიან ქვეყანას არ აქვს უფლება შრომითი რესურსი სრულფასოვნად არ გამოიყენოს.“ (რ2)

საქართველოში ამ ეტაპზე, ქალთა აქტიურობის დეფიციტთან გვაქვს საქმე, რაც თავისთავად, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ***სუსტი*** წერტილია და მნიშვნელოვნად აფერხებს მის წარმატებით განხორციელებას. ექსპერტები იმედოვნებენ, რომ პოლიტიკაში ქალთა აქტიურობა სამომავლოდ ხელს შეუწყობს ისეთი საჭირბოროტო სოციალური საკითხების წინ წამოწევას, როგორიც არის ჯანდაცვის, განათლების და დასაქმების სფეროები. ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში ამ სფეროებში პრობლემების აღმოფხვრის ახლებურ და შესაძლოა, უფრო ეფექტურ გადაწყვეტილებებსა და შეხედულებებს შემოიტანს.

„მრავალმა სახელმწიფომ აღიარა გენდერული მეისტრიმინგის აუცილებლობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, იგივე ქალების მონაწილეობის მიღება გადაწყვეტილების მიღების პროცესში არაერთი კვლევით არის დადასტურებული რომ გათანაბრება მდედრობით და მამრობითი სქესის წარმომადგენლობით ორგანოებში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გადაწყვეტილების ხარისხს და იმ პროცესებს რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს ყველა სფეროზე ახდენს თავისებურ გავლენას იმიტომ რომ ხშირ შემთხვევაში ქალის მონაწილობა ამ პროცესებში, ქალმა უკეთ იცის ქალის საჭიროება, ბავშვის საჭიროება, ოჯახის საკითხებში უფრო მეტად არის ჩართული და შესაბამისად უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.“ (რ12)

„არაერთმა ქვეყნის მაგალითმა გვაჩვენა, რომ ქალები უფრო სენსიტიურები არიან სოციალური პრობლემების მიმართ, ეს შემდეგ ქალებს რომლებიც პოლიტიკაში არიან გადააქვთ თავიანთ პოლიტიკურ კურსში. ეს ძალიან ადგება ქვეყანას. სოციალური პრობლემა არის ერთ–ერთი ჩვენი უდიდესი პრობლემა. ძალიან ბევრი სოციალურად დაუცვლეი ჯგუფი გვაყავს, პროგრამები არ გვაქვს“.(რ3)

„არაერთი კვლევით დადასტურებულია, რომ გათანაბრება მდედრობით და მამრობითი სქესის წარმომადგენლებით ორგანოებში, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გადაწყვეტილების ხარისხს და იმ პროცესებს, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს.(რ1)

„შიდა პროდუქტი ერთ ნახევარჯერ გაიზრდება იმითი, რომ თანასწორი და სრულფასოვანი ჩართვა იქნება შრომით პროცესში, იმ სიმაღლეებზე თუ ვილაპარაკებთ რასაც ქვია ქვეყნის განვითარება. საქართველოს 3 მილიონიან ქვეყანას არ აქვს უფლება შრომითი რესურსი სრულფასოვნად არ გამოიყენოს.“ (რ2)

რესპონდენტების აზრით, ქალთა სიმრავლე გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან მეტი თანხების გამოყოფას ისეთი პრობლემური საკითხების მოგვარებაზე, როგორიცა არის ძალადობის მსხვერპლი ქალები, მოხუცებულები, ბავშვები, უნარშეზღუდული ადამიანები, ეთნიკური უმცირესობები და მარგინალური ჯგუფები.

როგორც რამოდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, ამ ეტაპზე, გენდერული თანასწორობა საქართველოში მხოლოდ ქალისა და კაცის თანასწორობაზეა ფოკუსირებული და ნებისმიერი სხვა ნიშნით დისკრიმინირებული საზოგადოების წევრები გენდერული თანასწორობის ჩარჩოს მიღმა რჩებიან.

„თავისთავად ის რომ LGBT არ არის ინტეგრირებული გენდერული თანასწორობის სფეროში, გენდერი განიხილება, როგორც ქალი–მამაკაცი. ეს ჯგუფი რჩება მიღმა. ბუნებრივია ეს დიდი მინუსი არის და ამაზე მუშაობა წინ გველის ჯერ კიდევ...მეორე ჯგუფი, რომელიც ასევე ყველა სფეროში განიცდის დისკრიმინაციას არის სოფლად მცხოვრებელი ქალები. ძალიან მძიმე მდგომარეობა არის. ქალი, რომელიც ცხოვრობს მარალმთიანი აჭარის სოფელში, რომ მიუტანო ბროშურა სადაც წერია, რომ შენ როგორც ქალს გაქვს ესა და ეს უფლებები, მე რომ მკითხოთ ეს არის დაცინვა ამ ადამიანის.“ (რ6)

ექსპერტთა საუბრებიდან/შეფასებიდან არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება - პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ქალთა პასიური მდგომარეობა. ეს პრობლემა კი საქართველოში არსებული გენდერული პოლიტიკის ერთერთი ყველაზე სუსტ წერტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

რთულია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებაზე საუბარი, როდესაც საოცრად დაბალი წარმომადგენლობა გვაქვს ქალების სახელმწიფო სტრუქტურებში. ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის წევრების მხოლოდ 6 პროცენტს შეადგენენ ქალები[22], პირველი სერიოზული ხარვეზია საქართველოს გენდერულ პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ რომც იყოს ექსპერტების მიერ ნახსენები ფინანსური პრობლემები მოგვარებული და არასამთავრობო სექტორს ჰქონდეს დიდი დაფინანსება გენდერული უთანასწორობის პრობლემის მოგვარებისთვის, სანამ სახელმწიფო დონეზე მეტი ქალი არ ჩაებმება ამ პრობლემის გადაწყვეტაში, შესაძლოა სიტუაცია თუ არ გაუარესდა, ყოველ შემთხვევაში არც გაუმჯობესდეს.

[22] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: http://www.civil.ge/files/files/2012/Pre-Election_Delegation_Statement-GEORGIAN.pdf ნახვის თარიღი: ივლისი, 29.2012

რატომ პასიურობენ ქალები?

შეკითხვაზე თუ რატომ პასიურობენ ქალები, ექსპერტების აზრით ქართული საზოგადოება, გენდერსა და გენდერულ თანასწორობაზე საკმარისად ინფორმირებული არ არის. ეს გარემოება შემუშავებული კანონების და სხვადასხვა სოციალური აქტივობების, ეფექტურად აღსრულებას ართულებს.

ექსპერტები საზოგადოებაში ქალთა პასიურ მდგომარეობას განსაკუთრებით უსვამენ ხაზს და მიაჩნიათ, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ***სუსტ მხარედ*** საქართველოში, ქალთა კონსოლიდაციის არარსებობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, ქალთა მოძრაობის ჩამოყალიბებას უშლის ხელს.

„საქართველოში არ არსებობს ქალთა კონსოლიდაცია, ქალთა მოძრაობა; რომ ზოგადად პოლიტიკური ნება უნდა იყოს ძლიერი...“(რ1)

„საზოგადოებაში დაბალი აქტივობაა ამ კუთხით და დაბალი მოტივაცია აქვთ ქალებს რომ თავად იზრუნონ საკუთარი პრობლემების გადაჭრისთვის“(რ12)

,,მე მგონია ქალები დღეს უფრო პრობლემაა, ვიდრე მამაკაცები; ქალი არის თავის სოციალური სტატუსით კონსერვატიული მუხტის მატარებელი, ქალში უნდა მოხდეს ცვლილება, ქალმა უნდა დაიწყოს პირველი ნაბიჯების გადადგმა''. (რ2)

„სამწუხაროდ ქალები საქართველოშო ხშირ შემთხვევაში არ უჭერენ მხარს გენდერულ თანასწორობას და იმას რომ ის იყოს მამაკაცის თანასწორი, ჩემი აზრით, ბევრი სამუშაო არის ამ კუთხით გასაკეთებლელი, რომ ქალებმა მიიღონ გადაწყვეტილება რომ ისინი არიან მამაკაცის თანასწორნი. მე არ ვფიქრობ რომ ქალი არ უნდა იყო ოჯახში, ოჯახშიც უნდა იყოს და აქტიურ ასპარეზზეც.“ (რ4)

ექსპერტები საუბრობენ საზოგადოების მხრიდან გენდერული თანასწორობის მიმართ ან აგრესიულ და თუ აგრესიულ არა მაშინ ინდიფერენტულ დამოკიდებულებაზე. მათი თქმით, მეტი ტრენინგი და ინფორმაციის სისტემატიურად მიწოდება გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულებებს შეცვლის და საზოგადოება არსებულ ვითარებას შედარებით ადეკვატურად შეაფასებს. რესპონდენტები განმარტავენ, რომ ძალიან ხშირად თავად დისკრიმინირებულმა ქალებმა იმის გამო, რომ საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, არ იციან, რომ მათი უფლებები ირღვევა.

„ალბათ უფრო მეტი საინფორმაციო ტრენინგები უნდა ჩაუტარდეს საქართველოში მცხოვრებ, როგორც ქალბატონებს, ასევე მამაკაცებს. ხშირად ქალებმა არ იციან, რომ ირღვევა მათი უფლებები...რატომღაც დაინტერესება ძალიან ნაკლებია ქალბატონების მხრიდან.“(რ13)

თუმცა ამ განცხადების საპირისპიროდ მეტყველებს მოძიებული ინფორმაცია ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ, რომელიც მათი ვებ-გვერდიდან და თავად ინტერვიუში ნახსენები პროექტების ჩამონათვალიდან შევაგროვე. ძალიან ბევრი პროექტი ზუსტად რომ საზოგადოებისთვის გენდერული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და განსაკუთრებით ქალთა ინფორმირებულობას ეძღვნება.[23] შესაძლოა ის რაც

[23] დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ შესაძლოა ინახოს თითეული ორგანიზაციის ვებ გვერდზე.

ხორციელდება არასაკმარისია, და პრობლემა თავად საზოგადოებაში იყოს. ალბათ თავად საზოგადოებას უჭირს ამ ტრენინგების, საინფორმაციო კამპანიების და სემინარების აღქმა და სათანადოდ გაგება, რადგან არ მიაჩნია გენდერული საკითხები ყურადსაღები.

ქალთა პასიური მდგომარეობის ერთერთი ახსნა რამდენიმე რესპონდენტმა ეკონომიკური სიდუხჭირით სცადა. კავშირი პასიურ, უმოქმედო, მდუმარე მდგომარეობასა და ეკონომიკურ სიდუხჭირეს შორის იმაში მდგომარეობს,რომ სიღარიბის ფონზე შეუძლებელია ქალს ჰქონდეს მოტივაცია და დრო სხვადასხვა სოციალურ და მითუმეტეს პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად იყოს ჩართული. ექსპერტები განმარტავენ, რომ ქალების გააქტიურებას მათ ეკონომიკურ გაძლიერებაში ხედავენ და ვარაუდობენ, რომ როგორც კი საშუალო ფენის წარმომადგენელი ქალები ეკონომიკურად გაძლიერდებიან, მათი ინერტული პოზიციაც გაქრება და სხვადასხვა სოციალურ პროცესში უფრო აქტიურად ჩაებმებიან.

,, ... ქალი, რომელიც შენ გინდა გააძლიერო, უნდა რომ შემოსავალი ჰქონდეს; არ შეიძლება მან აიღოს სოციალური პასუხისმგებლობა, როდესაც ბავშვს ფეხსაცმელი არ აქვს რომ სკოლაში წავიდეს... იმ საშუალო ფენის წამოსვლასთან რომელიც უნდა გამრავლდეს და მომძლავრდეს, რაც ავტომატურად დაკავშირებულია ინერტულობის გაქრობასთან, ქალების გააქტიურებასთან რათა დაიცვან თავიანთი უფლებები.“ (რ.15)

„გენდერული პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია სახელმწიფომ გამოყოს ფინანსები ქალთა პრობლემებზე, იმისთვის რომ გახდნენ აქტიურები და ჩაერთონ პოლიტიკაში“ (რ.9)

ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ სიღარიბე აფერხებს ქალთა აქტიურობას საჯარო და პოლიტიკის სივრცეში.ხოლო უფრო გლობალურად რომ დავაკვირდეთ ამ მოსაზრებას, მანკიერი წრე იკვრება რომლის თავიც და ბოლოც გენდერული თანასწორობის პოლიტიკას უკავშირდება.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გენდერული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში საჭიროა სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა, უფრო მეტი დაფინანსება ვიდრე დღეს საქართველოშია და ქალთა კონსოლიდაცია და ამ ყველა კომპონენტის შედეგად ჩვენ გვექნება გენდერული თანასწორობის პოლიტიკა. მაგრამ დღეს, ექსპერტთა აზრით, სახელმწიფოს არ გააჩნია ძლიერი სურვილი და მოტივაცია რაც ფინანსების სიმწირეში გამოიხატება და ფინანსების სიმწირის გამო ბევრი ქალთა პრობლემა მოუგვარებელია. ქალთა პრობლემების მოუგვარებლობა და ქალთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა კი თავის მხრივ ქალთა პასიურ მდგომარეობას იწვევს რაც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაში ერთერთი ყველაზე დიდი პრობლემაა.

,,როდესაც ეკონომიკა გაძლიერდება, იქნება უკეთესი სამსახური, განათლება, როდესაც დაამთავრებს უმაღლესს თუ პროფესიულს, იმუშავებს და არ იქნება დამოკიდებული მამაზე და შემდეგ ქმარზე, შემდეგ თვითონაც აღარ ექნება დამოკიდებულება საკუთარ თავთან და არ იფიქრებს რომ სუსტია''. *(რ14)*

თუკი ექსპერტებს მიაჩნიათ რომ არსებობს კავშირი ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქალთა აქტიურობა/პასიურობას შორის, ლოგიკურია ვიფიქროთ

რომ რაც უფრო მაღალ ეკონომუკურ დონეზე იმყოფება ქალი მით უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ამ დაშვების გადამოწმება კავკასიის ბარომერი 2010-ის მონაცემთა ბაზის მეშვეობით გადავწყვიტე.

კავკასიის ბარომეტრში არსებულ, ერთერთ გენდერულად სენზიტიურ შეკითხვაზე ***„თქვენი აზრით, ოჯახის რომელი წევრი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს, კაცი თუ ქალი?“*** რესპონდენტთა პასუხები, ქალი რესპონდენტების ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით შედარდა ერთმანეთს. თუ ექსპერტების ვარაუდი სწორია, მაშინ ქალების ეკონომიკურმა მდგომარეობამ გავლენა უნდა იქონიოს მათ პასუხებზე ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანაბარი ჩართულობის შესახებ. რაც უფრო გამართულია ქალი ეკონომიკურად, მით უფრო მეტად უნდა მიაჩნდეს მას, რომ ოჯახში გადაწყვეტილებებს არა ერთპიროვნულად მამაკაცი, არამედ ორივე სქესის წარმომადგენელი უნდა იღებდეს და ან სულაც ქალი.

კვლევაში CB-2010 ქალი რესპონდენტები ორ ჯგუფად დავყავი. პირველ ჯგუფში შედიან დასაქმებული ქალები და ისეთი ქალები, რომლეთა ოჯახის საერთო შემოსავალი 800 დოლარზე მეტია.ხოლო მეორე ჯგუფი კი დაუსაქმებელი ქალებისგან შედგება, და ისეთი ქალებისგან რომელთა ოჯახის საერთო შემოსავალი 50 დოლარს არ აღემატება. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მთლიანობაში 2010 წლის კავკასიის ბარომეტრის საშუალებით გამოკითხული რესპონდენტებიდან დასაქმებული ქალები გამოკითხულთა 23% შეადგენენ, დაუსაქმებელი ქალები კი 77%. მხოლოდ 2% ისეთი ქალების, რომელთა ოჯახის საერთო შემოსავალი 800 დოლარს აღემატება, ხოლო ქალების ის ჯგუფი, რომელთა ოჯახის საერთო შემოსავალია 50 დოლარამდეა 10% შეადგენენ.

CB -2010 მონაცემების მიხედვით დასაქმებული ქალების 68% მიიჩნევს რომ ოჯახში მამაკაცი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს, 1% მიაჩნია რომ ქალი, ხოლო 29% კი მიიჩნევს რომ ორივე, ქალიც და კაციც თანაბრად უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს. დაუსაქმებელი ქალების შემთხვევაში 85% მიიჩნევს რომ ოჯახში გადაწყვეტილებებს მხოლოდ კაცი უნდა იღებდეს, და 1% დასაქმებლი ქალების მსგავსად გვპასუხობს ქალის სასარგებლოდ. თუმცა დაუსაქმებელ ქალებში შედარებით უფრო ნაკლებია ისეთი ქალი (13%), რომელიც ფიქრობს,რომ ოჯახში გადაწყვეტილებები თანაბრად უნდა მიიღონ ქალებმა და კაცებმა.

ცხრილი 4 (დასაქმებული და დაუსაქმებელი ქალების დამოკიდებულება იმის თაობაზე თუ ვინ უნდა იღებდეს ოჯახში გადაწყვეტილებებს.)

		თქვენი აზრით, ოჯახის რომელი წევრი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს?			
		არ ვიცი	კაცი	ქალი	თანაბრად
გაქვს თუ არა სამსახური?	არა	.9%	84.9%	.9%	13.1%
	კი	1.0%	68.3%	1.2%	29.0%

ქალების 43%, რომელთა ოჯახის საერთო შემოსავალი 800 დოლარს აღემატება მიიჩნევს, რომ ქალი და კაცი თანაბრად უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს ოჯახში, მაშინ როდესაც 50 დოლარამდე შემოსავლის მქონე ქალების მხოლოდ 16% ფიქრობს იგივეს. იმავე ჯგუფის ქალებიდან, რომელთა ოჯახის საერთო შემოსავალი 800 დოლარს აღემატება 57% მიიჩნევს, რომ მხოლოდ კაცი უნდა იღებდეს ოჯახში გადაწყვეტილებებს, და არცერთი მათგანი არ პასუხობს მხოლოდ ქალის სასარგებლოდ. რაც შეეხება 50 დოლარამდე ოჯახის საერთო შემოსავლის მქონე ქალების ჯგუფს,მათგან 81% მიიჩნევს რომ ოჯახში კაცი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს, და მხოლოდ ერთი პროცენტი ასახელებს პასუხს ქალის სასარგებლოდ.

ცხრილი 5 (ოჯახის მაღალი შემოსავლის მქონე ქალებისა და დაბალი შემოსავლის მქონე ქალების დამოკიდებულება იმის თაობაზე თუ ვინ უნდა იღებდეს ოჯახში გადაწყვეტილებებს.)

		თქვენი აზრით, ოჯახის რომელი წევრი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს?			
		არ ვიცი	კაცი	ქალი	თანაბრად
ოჯახის საერთო შემოსავალი	800 და მეტი აშშ		57.4%		42.6%
	50 აშშ-მდე	1.6%	81.3%	0.7%	16.3%

ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება კარგად ჩანს მაშინ როდესაც რესპონდენტები ოჯახში გადაწყვეტილებების მიმღებად თანაბრად მამაკაცსაც და ქალსაც ასახელებენ. დასაქმებული და ოჯახის 800 დოლარზე მეტი შემოსავლის მქონე ქალების პროცენტულად უფრო დიდი რაოდენობა მიიჩნევს რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორივე სქესის წარმომადგენელი თანაბრად უნდა იყოს ჩართული.ხოლო დაუსაქმებელი და ოჯახის 50 დოლარამდე შემოსავლის მქონე ქალებიდან კიპირიქით უფრო ნაკლებია ისეთი ქალი ვისაც მიაჩნია რომ ქალმა და კაცმა თანაბრად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები და ბევრად მეტია, პირველ ჯგუფთან შედარებით ისეთი ქალი, ვინც ერთპიროვნულად მამაკაცს ასახელებს ოჯახში გადაწყვეტილებების მიმღებად.

ერთი შეხედვით ეს მონაცემები გარკვეულწილად ამყარებს ექსპერტების მიერ მოყვანილ არგუმენტებს ქალების ეკონომიურად მოძლიერებასა და მათი გააქტიურების თაობაზე,რადგან CB2010-ში შეინიშნება ტენდენცია,რომ დასაქმებული და ოჯახის აღალი შემოსავლის მქონე ქალების უფრო დიდი რაოდენობა მიიჩნევს თანასწორობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაუსაქმებელ და ოჯახის ძალიან დაბალი შემოსავლის მქონე ქალების ჯგუფთან შედარებით.მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს,რომ კავკასიის ბარომეტრის კითხვარში დასმული ყველა

შეკითხვა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ გულისხმობს ოჯახის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას,ოჯახის ყველა წევრის საერთო შემოსავალს და არა ინდივიდუალური რესპონდენტის პირად შემოსავალს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ამ ორ ჯგუფში შემავალ ქალებს საერთოდაც არ ჰქონდეთ პირადი შემოსავალი, ან სულაც არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან პირადი შემოსავლის მიხედვით, ამიტომაც შეუძლებელია ამ მონაცემების მიხედვით ექსპერტთა მიერ მოწოდებული არგუმენტი გავამყაროთ. თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი რომ დასაქმებული და ოჯახის მაღალი შემოსავლის მქონე ქალების ბევრად უფრო მეტი რაოდენობა ემხრობა ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ორივე სქესის თანასწორ ჩართულობას.მაგრამ ნუთუ მხოლოდ ეკონოიკური და მატერიალური მდგომარეობა განაპირობებს ქალების სტერეოტიპულ დამოკიდებულებას გენდერულად სენზიტიურ საკითხებზე?ნუთუ მხოლოდ მაღალი ან დაბალი შემოსავალია იმის განმსაზღვრელი როგორ აფასებს ქალი თავის პასიურ და მდუმარე როლს საზოგადო სივრცეში?

ქალთა პასიური მდგომარეობის ასახსნელად რამოდენიმე ექსპერტმა განსხვავებული განმარტება მომცა, რომელიც პირდაპირ ქართულ კულტურასა და ტრადიციულ ღირებულებებს უკავშირდება. ექსპერტთა მოსაზრებით, საქართველოში დომინანტური პატრიარქალური ღირებულებები, ნორმები და ტრადიციებია გაბატონებული, რაც შესაძლოა ქალების პასიურობის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია.ზუსტად რომ, ტრადიციული შეხედულებების გამო ექსპერტთა აზრით საქართველოში ქალთა მოძრაობაც არ არსებობს.

„პრობლემას ქმნის ის, რომ არ არის ქალთა მოძრაობა...“ (რ.6)

„აქ არის ცნობიერებაზე და განათლებაზე დაყრდნობილი საკითხები, რომელიც უნდა მოგვარდეს ქვეყანაში,რომგამჯდარი ჰქონდეს კაცს, ქალს და ყველას ღირებულება. ინფორმაცია ჰქონდეთ რომ გენდერი არ არის ცუდი. ყველაზე დიდი პრობლემა არის საინფორმაციო სტრატეგიის არ არსებობა, უნდა იყოს პოლიტიკის დონემდე ყვანილი.“.“ (რ1)

,,პირველ რიგში, საჭირო არიან ადამიანები, ქალები, რომლებიც არიან აქტიურები საზოგადოებაში და რა თქმა უნდა, მათში ძალიან ბევრი ჭკვიანი და სერიოზული ადამიანი მოიძებენება, რომელიც სწორ მიმართულებას მისცემს ამ ყველაფერს. დანარჩენი ყველა რესურსის გამოყენება შეიძლება საამისოდ, თუ კი იქნება ამის ნება”. (რ.7)

ის, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობის თემატიკასდან დაკავშირებით ძალიან უარყოფითი დამოკიდებულებაა 2010 წლის კავკასიის ბარომეტრის კითხვარშიც აისახება. სექსუალური ქცევის მიმართ კაცებისა და ქალებისთვის ერთნაირი ნორმების დაშვების აღიარება შესაძლოა ჩაითვალოს გენდერული თანასწორობის ყველაზე სენზიტიურ მაჩვენებლად.

2010 წლის კავკასიის ბარომეტრის მონაცემი აჩვენებს საზოგადოების პატრიარქალურ დამოკიდებულებას ქალის ქცევის მიმართ და რაც ძალიან საინტერესოა ამ შემთხვევაში კაც და ქალ რესპონდენტებს შორის არსებითი განსხვავება არაა. ქალებიც მამაკაცების მსგავსად ძალიან კრიტიკულად აფასებენ ქალის სექსუალურ თავისუფლებას,და მის უფლებას იცხოვროს მშობლებისგან დამოუკიდებლად, და თანაცხოვრობდეს მამაკაცთან ქორწინების გარეშე. გამოკითხულ ქალთა 52% და

მამაკაცთა 48% მიიჩნევს რომ ქალისთვის არცერთ ასაკში არაა მისაღები მშობლებისგან ცალკე ცხოვრება, კაცების 47% და ქალების 53% მიიჩნევს რომ ქალისთვის ქორწინებამდე არცერთ ასაკში არაა მისაღები სექსუალური კავშირის დამყარება და ასევე კაცების 47% და ქალების 53% მიიჩნევს რომ ქალისთვის არცერთ ასაკში არაა მისაღები ქორწინების გარეშე მამაკაცთან ერთად ცხოვრება.

ცხრილი 6 (გამოკითხული რესპონდენტების დამოკიდებულება გენდერულად სენზიტიურ შეკითხვებზე სქესის მიხედვით.)

ქალისთვის არცერთ ასაკში არ არის მისაღები მშობლებისგან ცალკე ცხოვრება ქორწინებამდე	
ქალი	კაცი
52%	48%
ქალისთვის არცერთ ასაკში არ არის მისაღები სქესობრივი ურთიერთობის დამყარება ქორწინებამდე	
ქალი	კაცი
53%	47%
ქალისთვის არცერთ ასაკში არ არის მისაღები თანაცხოვრება მამაკაცთან ქორწინების გარეშე	
ქალი	კაცი
53%	47%

CB 2010-ის მონაცემების და ექსპერტთა ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და გენდერულ საკითხებზე მსჯელობისას ორი ძირითადი ასპექტი - ფინანსური ასპექტები და საზოგადოების დამოკიდებულება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში უნდა განვიხილოთ.რადგან შესაძლოა ფინანსური პრობლემების მოგვარებამ, გენდერული უთანასწორობის პრობლემა არ გადაჭრას ქართულ საზოგადოებაში.

რესურსების გადანაწილება თუ აღიარების პრობლემა?

გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე საუბრისას ჩემს მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა განმარტავს, რომ გენდერული თანასწორობა ქვეყანაში არსებული რესურსებისადმი ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ნიშნავს. გამომდინარე აქედან, თუ კი ადამიანებს, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეთნიკური, სექსუალური და რელიგიური მიკუთვნებულობისა არსებული რესურსებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა ექნებათ, ქვეყანაში გენდერლი ნიშნით დისკრიმინაციისა და უთანასწორობის ბევრად

ნაკლები შემთხვევა გვექნება. მაგრამ არსებობს სამართლის თეორიები, რომელიც ამ ვარაუდს უარყოფს და ერთერთი ასეთი თეორიის ფუძემდებელი, საერთაშორისოდ აღიარებული ამერიკელი მეცნიერი ნენსი ფრეიზერია[24], რომელიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ რესურსების თანაბარ გადანაწილებას არანაირი აზრი არ აქვს თუ არ იქნება აღიარების პრობლემა მოგვარებული.[25] აღიარებაში იგივე 'recognition' ფრეიზერი გულისხმობს განსხვავებულობის აღიარების ცნებას, რომელიც პირდაპირ კავშირშია საზოგადობის კულტურულ ღირებულებებთან.

ნ.ფრეიზერი სვამს შეკითხვას, თუ რამდენად შეუძლია სამართლიანი განაწილების თეორიებს განსხვავებულობის აღიარების საკითხების გათვალისწინება? მისი აზრით სამართლიანი განაწილების სტანდარტული თეორიები უგულებელყოფენ განსხვავებულობის აღიარების საკითხს და მხოლოდ რესურსების გადანაწილებაზე არიან კონცენტრირებულები. ხოლო აღიარების თეორიებს კი საპირისპირო ხარვეზი ახასიათებს: ისინი საკმარის ყურადღებას არ უთმობენ ეკონომიკურ უთანასწორობასა და რესურსების გადანაწილებას და არ მოიცავენ სამართლიანი განაწილების საკითხებს. იქიდან გამომდინარე, რომ სოციალური უსამართლობიბების უმრავლესობა ეკონომიკური და კულტურული ხასიათის უსამართლობების ნაზავს წარმოადგენს, ფრეიზერი თავის ანალიტიკურ თეორიებში ავითარებს ცნებას ახალი ნორმატიული სისტემის შესახებ, რომელიც მოიცავს, როგორც გადანაწილებისაკენ მიმართულ პოლიტიკას, ისე განსხვავებულობის აღიარების პოლიტიკას. სოციალური სამართლიანობის ეს სისტემა სოციალურ სისტემებსა და ინსტიტუტებს იმის მიხედვით აფასებს, თუ რამდენად შეუძლიათ მათ საზოგადოებაში ადამიანთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ნ. ფრეიზერი თავის ნაშრომში „რესურსების გადანაწილება თუ აღიარება?"[26] ავითარებს აზრს, რომ დღეს სამართლიანობა მოითხოვს როგორც რესურსების გადანაწილებას, ისე განსხვავებულობის აღიარებას, რადგან ცალკე აღებული არც ერთი მათგანი საკმარისი არ არის. იგი მიიჩნევს რომ თანამედროვე საზოგადოებამ ორივე კომპონენტის მნიშვნელობა უნდა გააცნობიეროს და რესურსების გადანაწილებისა და განსხვავებულობის აღიარების საკითხები არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არამედ კომპლექსურად უნდა გაიაზროს, საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის პრობლემასთან მიმართებაში.

ფრეიზერს შემოაქვს ბივალენტური კოლექტივის ცნება, იმის საჩვენებლად, თუ რატომ აქვს სამართლიანობას სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული

[24] იხილეთ ინფორმაცია ნენსი ფრეიზერის შესახებ შემდეგ ბმულზე: http://en.wikipedia.org/wiki/Nancy_Fraser ნახვის თარიღი: აგვისტო,3.2012

[25]/[2]6 Fraser,N. (1995), "Recognition or Redistribution? A Critical Reading of Iris Young's *Justice and the Politics of Difference", Journal of Political Philosophy*, Volume 3, Issue 2, p.166–180

განზომილებები, რომლებიც ერთმანეთთან გადაჯაჭვულია და მათი ერთმანეთისგან განცალკევება შეუძლებელია.

ბივალენტური კოლექტივი წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, რომელიც განიცდის როგორც სოციალურ-ეკონომიკური რესურსების უსამართლო განაწილებასთან დაკავშირებულ, ისე არასათანადო აღიარებასთან დაკავშირებულ კულტურული ხასიათის პრობლემებს.

უსამართლობა, რომლის წინაშეც ასეთი კოლექტივი დგას, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში ერთდროულად წარმოიშობა. ასეთი ბივალენტური კოლექტივის მაგალითს ფრეიზერის აზრით წარმოადგენს გენდერი, რადგან გენდერული უთანასწორობის მიზეზები ნაწილობრივ ეკონომიკური სისტემით, ნაწილობრივ კი მოცემული საზოგადოების კულტურული ნორმებით არის გამოწვეული. ფრეიზერი მიიჩნევს, რომ რადგან გენდერი და რასა ბივალენტური კოლექტივის პარადიგმული მაგალითებია, ყველა ჯგუფი, რომელიც ეფუძნება სოციალურ კლასს, სექსუალობასა და იდენტობას, ბივალენტურ კოლექტივს წარმოადგენს. გარდა ამისა ფრეიზერი განმარტავს, რომ მაგალითად კლასის შემთხვევაში, სოციალური უსამართლობები შესაძლოა ბევრად უფრო მეტად ეკონომიკურ მიზეზებთან იყოს კავშირში ვიდრე კულტურასთან დაკავშირებულ მიზეზებთან. ხოლო სექსუალური ორიენტაციის შემთხვევაში კი, უსამართლობის გამომწვევი მიზეზები ბევრად უფრო მეტად კულტურული ასპექტებითაა განპირობებული ვიდრე ეკონომიკურით. მაგრამ თითეული ასეთი უსამართლობის შემთხვევაში, როგორც ეკონომიკური ისე კულტურული ფენომენი აუცილებლად გასათვალისწიბებელია, ხოლო ამ ეტაპზე მისი აზრით სამართლიანი განაწილების თეორიებში არანაირი ყურადღება არ ექცევა უსამართლობის კულტურასთან დაკავშირებულ განზომილებებს, აღიარების თეორიები კი უგულებელყოფს ეკონომიკურ უთანასწორობებსა და რესურსების გადანაწილების მოთხოვნებს. ამასთან ერთად, ფრეიზერი ამტკიცებს, რომ არც სამართლიანი განაწილების თეორიების მოდიფიცირებაა შესაძლებელი იმგვარად, რომ მათ აღიარების მოთხოვნები გაითვალისწინონ და არც აღიარების თეორიებს შეუძლია რესურსების გადანაწილების მოთხოვნების გათვალისწინება. შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება სამართლიანობის ბივალენტური კონცეფცია, რომელიც მოიცავს როგორც გადანაწილებას, ისე აღიარებას და ორივე კონცეპტი ერთინაირად მნიშვნელოვანია.

საქართველოში არსებული გენდერული თანასწორობის შეფასებიბას ექსპერტთა მიერ წამოჭრილი პრობლემები, შესაძლოა კარგად მიესადაგოს ფრეიზერის სამართლიანობის თეორიის მოდელს. ექსპერტები საუბრობენ ფინანსური რესურსების სიმწირეზე და ერერთ ძირითად პრობლემად სახემწიფოს მხრიდან არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამოყოფას ასახელებნ. გარდა ამისა, ექსპერტთა ნაწილი ქალების პასიურ მდგომარეობასაც და მათ ინდეფერენტულ დამოკიდებულებას გენდერული საკითხების მიმართ მატერიალური სიდუხჭირით

ხსნის.ეს პრობლემა ფრეიზერისეული მიდგომით რომ განვიხილოთ, შედეგად მივიღებთ იმას, რომ ქალების პასიური მდგომარეობა ყველაზე მეტად კულტურული ღირებულებებითაა განპირობებული და აღიარების პრობლემაში გამოიხატება.ზუსტად რომ კულტურული ღირებულებებით შეიძლება აიხსნას საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ქალის სექსუალური თავისუფლების მიმართ და მისი უფლლების მიმართ დამოუკიდებლად,მშობლების გარეშე იცხოვროს, რაც ჩანს კავკასიის ბარომეტრში. ჩემი აზრით, კულტურული ღირებულებებითაა და აღიარების პრობლემით განპირობებული ქალი რესპონდენტების პასუხბი კვლევაში „**ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში**,“ იმის შესახებ,რომ ცოლი უნდა ემორჩილებოდეს და ეთანხმებოდეს თავის ქმარს, მაშინაც კი თუ არ იზიარებს მის აზრს.

როგორც ჩანს, არც ქალებში და არც მთლიანად საზოგადოებაში არ ხდება გენდერული თანასწორობის არსის აღიარება,არ ხდება უთანასწორობის პრობლემის აღიარება, არ ხდება იმ საკითხების აღიარება რომლებიც განაპირობებს ქალთა სიმცირეს როგორც საჯარო ისე პოლიტის სფეროში.ხოლო ამ პრობლემების და უსამართლობების აღიარება კი იმიტომ არ ხდება,რომ ისინი კულტურული ნორმებითაა განპირობებული და ქალის უუფლებო, მდუმარე მდგომარეობა არა სოციალურ უსამართლობად, არამედ ნორმად არის დადგენილი.

თუ საზოგადოება გენდერული უთანასწორობის საკითხის არსს არ გააცნობიერებს და შესაბამისად, პრობლემად არ აღიარებს მას, როგორ სამართლიანადაც არ უნდა გადანაწილდეს ფინანსური რესურსი და როგორ სამართლიანადაც არ უნდა ეცადოს სახელმწიფო ქალების ეკონომიკურად გაძლიერებას, შესაძლოა ქალებმა მაინც პასიური და ინერტული მდგომარეობა შეინარჩუნონ გენდერული საკითხების მიმართ და გადაწყვეტილებების მიღება საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს მიანდობენ. როგორც ჩანს, საქართველოში გენდერთან დაკავშირებული უსამართლობები არა მხოლოდ ეკონომიკური მიზეზებითაა გამოწვეული,არამედ პირდაპირ კავშირშია ჩვენი კულტურით დადგენილ შეხედულებებთან და ნორმებთან.უფრო მეტიც, შესაძლოა კულტურული ნორმები და ღირებულებები ბევრად უფრო მეტად აფერხებდეს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებას,ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი თანხების გამოყოფა უთანასწორობის საკითხების მოგვარებაზე.

დასკვნა

ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოში გენდერული პოლიტიკის შეფასებისას მრავალ საკითხს გამოყოფენ. პირველ რიგში თითეული მათგანი იმ ფაქტს აღნიშნავს,რომ იმის და მიუხედავად რომ უკანასკნელ წლებში, არაერთი არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს გენდერული პოლიტიკის შესაქმნელად და ქვეყანაში გენდერული თანასწორობის გასაუმჯობესებლად, საქართველოში თანასწორობის ხელშემწყობი ინსტრუმენტები საკმაოდ სუსტი და არასაკმარისად დახვეწილია. ექსპერტებს მიაჩნიათ რომ აუცილებელია საკანონმდებლო სფეროში არსებული ცვლილებების დახვეწა და ქართულ რეალობასთან ადაპტაცია.

გენდერული პოლიტიკის შეფასებისას რესპონდენტები სამ ყველაზე არსებით პრობლემას ასახელებენ, რომელიც გენდერული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას უშლის ხელს: სახელმწიფოს არასაკმარისად ძლეირი ნება გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში, სახელმწიფოსა და დონორების მხრიდან არასაკმარისი თანხების გამოყოფა და საზოგადოების არასწორი დამოკიდებულება გენდერულ საკითხებთან მიმართებაში.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია საზოგადოებამ და სახელმწიფომ ფოკუსირება მოახდინოს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის პოლიტიკაში ქალთა მონაწლეობის გაზრდა. სიღრმისეულად შეისწავლოს განათლების, ჯანდაცვის, და დასაქმების სფეროები გენდერული დისკრიმინაციის კუთხით. თითქმის ყველა ექსპერტი აღნიშნავს, რომ გენდერული პოლიტიკა პირველ რიგში თავად სახელმწიფომ უნდა გაატაროს. და ამ პოლიტიკის გატარება არ უნდა იყოს საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნით განპირობებული. ქვეყნის შიგნით უნდა არსებობდეს ჭეშმარიტი ნება და სურვილი უთანასწორობის საკითხების გამოსწორებისა. თითეულ ექსპერტს მიაჩნია, რომ გენდერული პოლიტიკის განვითარება საქართველოში დემოკრატიის განვითარებას შეუწყობს ხელს, ხოლო ქალთა სიმრავლე პოლიტიკის სფეროში კი მრავალი სოციალური პრობლემის მოგვარებას განაპირობებს. თუმცა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებილი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი საზოგადოების დამოკიდებულებაა თანასწორობა/უთანასწორობის თემასთან. ექსპერტები განმარტავენ, რომ აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერის საკითხებთან მიმართებაში, მეტი ინფორმაციის მიწოდება ინტენსიური ტრენინგების მეშვეობით. განსაკუთრებით აღნიშნავენ ქალების პასიურ მდგომარეობას საზოგადო და პოლიტიკის სფეროში, რომელიც მათი აზრით ერთის მხრივ ეკონომიკური სიდუხჭირით და მეორეს მხრივ ქვეყანაში არსებული პატრიარქალური ნორმებითაა განპირობებული.ექსპერტებს მიაჩნიათ,რომ გაჭირვება ძალიან უარყოფითად აისახება ქალებზე და მათ სურვილზე იყვნენ სახვადასხვა სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესში ჩართულები. ამის გამო ეკონომიკურად დაბალ საფეხურზე მყოფი ქალები ჯერ საკუთარი მატერიალური პრობლემების მოგვარებას ლამობენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაუჩნდეთ დრო და სურვილი რომ გადაწყვეტილებების პროცესში ჩაებან საზოგადო და პოლიტიკის სფეროში და აქტიურობა გამოიჩინონ სხვადასხვა საზოგადო საკითხების მოგვარებისთვის.მაგრამ მხედველობაში აუცილებლად უნდა ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ შესაძლოა მატერიალური პრობლემების გადაჭრამ მაინც არ გამოიწვიოს ქალების გააქტიურება.

და ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ არც მატერიალურად უზრუნველყოფილი ქალები არიან დღეს სოციალურ და პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურები. ხოლო სტატისტიკური მონაცემები იმას ცხადყოფს რომ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოებას ერთსულოვნად კრიტიკული და პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი დამოკიდებულება გააჩნია.

ფაქტია,რომ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ვერ ხედავს საჭიროებას ქალების გააქტიურებისა და ვერ აანალიზებს გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემების არსს. ჩვენი კულტურული ღირებულებები და ნორმები ქალის მხრიდან მორჩილებასა და პასიურობას მოითხოვს და ამ შეხედულებებზე აღზრდილი საზოგადოება რთულად ან საერთოდ ვერ იღებს გენდერული თანასწორობის იდეას,რადგან მასში არ ხდება პრობლემის არსის აღიარება, recognition. ნენსი ფრეიზერის მიხედვით მხოლოდ რესურსების თანაბარი გადანაწილება,რაც საქართველოს შემთხვევაში ქალების მატერიალურად მოძლიერებას გულისხმობს არსებულ პრობლემას არ მოაგვარებს, რადგან რესურსების გადანაწილების გარდა აუცილებელია პრობლემის არსის აღიარება. მართალია ექსპერტები ამბობენ,რომ უფრო მეტი და ეფექტური ტრენინგი და საინფორმაციო კამპანია საზოგადოებაში გაზრდის ინფორმაციას გენდერული საკითხების შესახებ და შესაძლოა შეასუსტოს საზოგადოების არასწორი და ნეგატიურ დამოკიდებულებაც.მაგრამ თუ ფრეიზერის თეორიას გავითვალისწინებთ ცალ-ცალკე არც რესურსების თანაბარი გადანაწილება და არც მხოლოდ აღიარება/ recognition საკმარისი არ იქნება გენდერული უთანასწორობის საკითხებთან საბრძოლველად. როგორც ფრეიზერი მიიჩნევს თანამედროვე საზოგადოებამ ორივე კომპონენტის მნიშვნელობა უნდა გააცნობიეროს და რესურსების გადანაწილებისა და განსხვავებულობის აღიარების საკითხები არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არამედ კომპლექსურად უნდა გაიაზროს. ეს კი საქართველოში არსებული გენდერული პოლიტიკის შემთხვევაში სხვა არაფერს ნიშნავს, რომ ერთდროულად უნდა მოხდეს ქალების როგორც მატერიალურად მოძლიერება, და ასავე მათი ინფორმირება გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა აქტიურმა ტრენინგებმა და საინფორმაციო აქტივობებმა ბევრად დიდი და ნაყოფიერი შედეგი გამოიღოს, და საფუძველი ჩაუყაროს იმ ფაქტს,რომ არა საერთაშორისო დონორებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა,არამედ თავად ქართულმა საზოგადოებამ მოსთხოვის სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის აქტიურად გატარება ქვეყანაში.

ავტორის შესახებ

ელენე ჯაფარიძე ფლობს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალური ფსიქოლოგიის ბაკალავრი ხარისხს.

ბაკალავრიატის დროს იგი სწავლობდა საარბრიუკენის უნივერსიტეტში სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სადაც გაიარა სხვადასხვა ტრეინინგი თვისებრივი კვლევების მეთოდებში. გერმანიიდან დაბრუნებისთანავე დაიწყო მუშაობა კვლევით ორგანიზაციაში ACT. მაგისტრატურაში სწავლის დროს ელენე ახორციელებდა სხვადასხვა სოციალურ კვლევებს ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელობით.

2010-2011 წლებში მუშაობდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრში (CRRC), ახალგაზრდა მკვლევართა პროგრამის ფარგლებში და გეგმავდა და ახორციელებდა სხვადსხვა კვლევით პროექტებს.

ლიტერატურა:

Beer,C.(2009), “Democracy and Gender Equality, Studies in Comparative International Development (SCID)”, *Business and Economics*, Volume 44, Issue 3, p.212-214.

Bendeliani, N. (2012),” Beyond the Human Development Index: Assessing the Human Development in Georgia through International Indices and Rankings”. Available at: http://css.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=23&info_id=433. Accessed July 24.2012

Butler, J. (1990), ”*Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity*”. New York: Rutledge, p.163–71.

Caucasus Barometer 2010. Available at: http://www.crrc.ge/oda/. Accessed: August, 10.2012.

Chitashvili, M., Javakhishvili, N., Arutiunov, L., Tsuladze, L., Chachanidze, S. (2010), *“National Research on Domestic Violence against Women in Georgia.”* Available at: http://www.genderbasedviolence.ge/conimages/annual-eng.pdf. Accessed: July 5.2012

Derbyshire, H. (2002), “Gender Manual: A Practical Guide for Development Policy Makers and Practitioners, Department for International Development (DFID)”. Available at: http://webarchive.nationalarchives.gov.uk/+/http:/www.dfid.gov.uk/Documents/publications/gendermanual.pdf. Accessed: July 3.2012.

Directorate General of Human Rights (2004) ,“National machinery, action plans and gender mainstreaming in the Council of Europe member states since the 4th World Conference on Women (Beijing, 1995)” Available at: http://books.google.ge/books/about/National_Machinery_Action_Plans_and_Gend.html?id=LRaGtgAACAAJ&redir_esc=y. Accessed: July, 1.2012

Duban, E. (2010),”Gender Assessment USAID/GEORGIA”. Available at: http://transition.usaid.gov/our_work/crosscutting_programs/wid/pubs/Georgia_Gender_Assessment_Jun-2010_508.pdf. Accessed: June 17.2012

Fraser,N. (1995),“Recognition or Redistribution? A Critical Reading of Iris Young's *Justice and the Politics of Difference”, Journal of Political Philosophy*, Volume 3, Issue 2, June, p.166–180

Gaprindashvili, L., Samnidze, Kh. (2011), “The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW): Equality, Legislation and Reality”. Available at: http://georgien.boell-net.de/downloads/CEDAW_final_publication.pdf. Accessed: August, 3.2012

Kimmel, M.S. (2000),“*The gendered society reader*.” Oxford: Oxford University Press, p.2

Magnus, E. (2003), “Gender analysis in NRSP. DFID NRSP Programme Development

Report PD123”. Available at: http://94.126.106.9/r4d/PDF/Outputs/NatResSys/PD123Rep.pdf. Accessed: July 14.2012

Rusetsky,H., Delemenchuk, A., Metreveli, T. (2007), “Assessment of needs of women’s movement in Georgia.” Available at: http://www.ifc.org/ifcext/gcgp.nsf/AttachmentsByTitle/1Assessment2007/$FILE/1Assessment2007.pdf. Accessed: July, 26.2012

Sabedasvili, T. (2007),"Gender and Democratization: the Case of Georgia 1991-2006". Available at: http://stopvaw.org/uploads/gender_and_democratization.pdf. Accessed: July, 23.2012

Sumbadze, N. (2008),"*Gender and Society."* Available at : http://www.undp.org.ge/files/24_425_824113_gender&society2008.pdf. Accessed: July, 8.2012

Wharton, A.S. (2004), *"Gender inequality"*. In:G.Ritzer, ed. Handbook of Social problems. Newbury Park, CA: Sage, p.156-17

World Bank (2003), "Gender Equality and the Millennium Development Goals." Available at: http://siteresources.worldbank.org/INTGENDER/Publications/20169280/gendermdg.pdf Accessed: June 29.2012

http://www.stats.oecd.org/. Accessed: July, 10. 2012

http://www.civil.ge/files/files/2012/Pre-Election_Delegation_Statement-GEORGIAN.pdf Accessed: July, 29.2012

http://en.wikipedia.org/wiki/Nancy_Fraser. Accessed: August, 3.2012